სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - რომანული ფილოლოგია(ფრანგული, ესპანური, იტალიური ენები და ლიტარატურა)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ქეთი გაბუნია
თანახელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნანა გუნცაძე; კონსულტანტი ემერიტუსი ციური ახვლედიანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ინდივიდუალური პროგრამა მოიცავს რომანული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე და აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ინტენსიურად მუშავდება ხელოვნური გონის, კომპიუტერული პროგრამების, თარგმანის და პედაგოგიკის თეორიაში. მასში ასახულია რომანული ენათმეცნიერების მიმართება თანამედროვე ზოგადსაენათმეცნიერო აზროვნებასთან და ცალკეული რომანული ენებისა და ლიტერატურის მდგომარეობა განიხილება, როგორც ზოგადი თეორიული პოზიციიდან, ასევე მათ სპეციფიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით.

საკითხთა ის წრე, რომელსაც პროგრამა მოიცავს განიხილავს სტილისტიკის ახლებურ მანიფესტაციას, სემიოსტილისტიკას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს და მეთოდებს; ენის, დრამატურგიის და კინოს სემიოტიკურ ანალიზს; პროგრამაში გათვალისწინებულია რომანულ ენათა (ფრანგული, ესპანური, იტალიური) დიაქრონიულ-ტიპოლოგიური კვლევები, სოციოლინგვისტურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული კვლევები; ფსიქოლინგვისტური კვლევები; რომანულ ენათა (ფრანგული, ესპანური, იტალიური) ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროს პრობლემატიკა; ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს პრობლემატიკა ძირითადად მოიცავს: რომანული ლიტერატურის კომპარატისტულ კვლევებს. პროგრამა ითვალისწინებს თარგმნის თეორიის და მეთოდოლოგიის ადგილს და ფუნქციას რომანული ენებისა და ლიტერატურის შესახებ მეცნიერებებში.

შედეგი - დოქტორი თანამედროვე თეორიის საფუძველზე გაანალიზებს რომანულ ენებსა და ლიტერატურას ზოგადი, ან კონკრეტული პრობლემების კვლევის თვალსაზრისით.
იგი ფლობს თანამედროვე კოგნიტიურ მეცნიერებათა საფუძვლებს და კვლევის მეთოდოლოგიას, მას აქვს ორიგინალური და შემოქმედებითი კვლევის უნარი. შეუძლია გადასცეს შეძენილი ცოდნა და კვლევის შედეგები ფართო საზოგადოებას.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები, კერძოდ:
წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი და აქვთ დამტკიცებული საკანდიდატო თემა რომანისტიკის (ზოგადად ან კონკრეტული რომანული ენის ან ლიტერატურის) მიმართულებით.
კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;

- რომელიმე რომანული ენის B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

განსაკუთრებული პირობები: დოქტორანტების მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილი სტატიების უარყოფითი შეფასების შემთხვევაში:

1. თუ შეფასება არ აღემატება 10 ქულას, მაძიებელი ამოირიცხება დოქტორანტთა სიიდან. მას უფლება აქვს თავიდან ჩააბაროს დოქტორანტურაში და გაიაროს სადოქტორო პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებით.
2. თუ წარდგენილი სტატიები შეფასდა უარყოფითად, მაგრამ 11-დან 15 ქულამდე, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადაამუშაოს სტატია, ან თავიდან მოამზადოს ახალი სტატია უარყოფითად შეფასების სანაცვლოდ, რათა კიდევ ერთხელ იქნეს გაგზავნილი ექსპერტიტაზე.

დასაქმების სფეროები:

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში;
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა შესაბამის დეპარტამენტებში;
- საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ბიბლიოთკებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში მთარგმნელად და სტილისტად
- მასმედიის ყველა მიმართულებით, ექსპერტად და კონსულტანტად;

სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად;

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის მიმართულებას აქვს სათანადო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს ფაკულტეტის ბიბლიოთეკებით, თსუ ინტერნეტული მომსახურების ცენტრით და ალ. დიუმას სახელობის მედიათეკის ბიბლიოთეკით;

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი - პროგრამა გათვალისწინებულია ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებელთათვის, რომელთა რაოდენობა ერთ ათეულს არ აღემატება. მოსალოდნელია, რომ დოქტორანტურაში ჩაირიცხება ათამდე მაძიებელი, რომელთა ხელმძღვანელობას პროგრამა უზრუნველყოფს. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში მოიწვევს დამატებით ხელმძღვანელს.